დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-150

ბრძანებით (12.12.2019) დანართი N1

ცვლილება: N04-14 (05.02.2020) დანართი N1

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი

ქ. მცხეთა

2019 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის (შემდგომში უწყისი) წარმოების წესის მიზანია სასწავლო პროცესის გამჭვირვალობისა და ხარისხის გაუმჯობესება

1.2 ეს წესი ვრცელდება, კოლეჯის როგორც ძირითად, ისე დამატებით სასწავლო ფართებზე (დაბა სტეფანწმინდის და დაბა თიანეთის დამატებით სასწავლო ფართებზე).

მუხლი 2. უწყისის წარმოება

2.1 კოლეჯში მოქმედი უწყისის ფორმა დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად;
2.2 უწყისის წარმოებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
2.3 შესაბამისი მოდულის პროფესიული მასწავლებელი ადგენს უწყისს ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად;
2.4 უწყისი დგება ინდივიდუალურად თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე და მასში მიეთითება ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის სახელწოდების, მოდულის კოდის, ჯგუფის ნომერის, სწავლის შედეგების დადასტურება/არდადასტურების; უწყისის შედგენის თარიღის შესახებ;
2.5 პროფესიული მასწავლებელი ხელმოწერით ადასტურებს უწყისში მოცემული ინფორმაციის სისწორეს;
2.6 პროფესიული მასწავლებელი უწყისს ადგენს შესაბამისი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. უწყისის შენახვა და რეგისტრაცია

3.1 პროფესიული მასწავლებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა, შევსებულ უწყისებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც ახორციელებს თითოეულ უწყისზე ხელმოწერას;

3.2 სასწავლო პროცესის მენეჯერი ახდენს უწყისების რეგისტრაციას და შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას;

3.3 უწყისები ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მენეჯერი უწყისებს გადასცემს კოლეჯის საქმისმწარმოებელს, რომელიც მათ შენახვას უზრუნველყოფს უვადოდ.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1 წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დანართი N1

შეფასების უწყისი

რეგისტრაციის N_____

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

პროფესიული პროგრამა :

პროფესიული მოდული:

პროფესიული სტუდენტი : _____

ჯგუფის N:

მოდულის კოდი:

სწავლის შედეგები	დადასტურდა	არ დადასტურდა
1.	□	□
2.	□	□
3.	□	□
4.	□	□
5.	□	□
6.	□	□
7.	□	□

8.	□	□
9.	□	□
10.	□	□

თარიღი: _____

პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა: _____

/ ……..…..…. /

სასწავლო პროცესის მენეჯერის ხელმოწერა: _____

/ ……..…..…. /